GEORGIAN

CYPSC
CHILDREN & YOUNG PEOPLE'S SERVICES COMMITTEES

TUSLA
An Ghníomhaireacht um Leanaí agus an Teaghlach
Child and Family Agency

ოჯახის მხარდაჭერის პრაქტიკოსი

პრევენცია, პარტნიორობა და ოჯახის მხარდაჭერა (PPFS)

ბავშვებისა და ოჯახებისთვის
ვისაც მხარდაჭერა სჭირდება

ვინ ვართ ჩვენ...

ჩვენ ვართ „ტუსლას“, ბავშვთა და ოჯახების სააგენტოს ნაწილი. ოჯახებს, რომლებსაც სტრესული ან რთული პერიოდები აქვთ, ჩვენ მხარდაჭერის მომსახურებას ვთავაზობთ. ჩვენ ოჯახებს ვეხმარებით, პრობლემებს უკეთ გაუმკლავდნენ და ოჯახური ცხოვრება გააუმჯობესონ.

თუ ჩვენთან თანამშრომლობისთვის მზად ხართ, თქვენ და თქვენს შვილებს დაგეხმარებით, რომ პრობლემებს გაუმკლავდეთ და გააუმჯობესოთ თქვენი ოჯახის ცხოვრების ხარისხი, რათა თქვენი შვილები უსაფრთხოდ იყვნენ და თავიანთი პოტენციალი სრულად გამოიყენონ.

ჩვენ ყველა კულტურისა და წარმომავლობის მშობლებთან და მათ 18 წლამდე შვილებთან ვმუშაობთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მშობლებსაც სურთ.

როგორ ვმუშაობთ...

- ყურადღებას თქვენი ოჯახის ძლიერ მხარეებზე და იმაზე ვამახვილებთ, რაც კარგად მუშაობს.
- რთულ დროს მხარს დაგიჭერთ და გაგამხნევებთ.
- ოჯახურ ურთიერთობებს ხელს ვუწყობთ.
- დაგეხმარებით რუტინული საშინაო საქმეების დაგეგმვაში, აგრეთვე, სკოლაში დასწრების გაუმჯობესებასა და ბიუჯეტის შედგენაში.
- ადგილობრივ საზოგადოებაში, მხარდაჭერის სხვა სამსახურებთან დაკავშირებაში დაგეხმარებით.
- ვმუშაობთ თქვენთან, თქვენს შვილთან, ასევე, სკოლასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მედდასთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურებთან, რათა სიტუაცია გავაუმჯობესოთ.
- ოჯახურ საქმიანობას და შემდგომ განათლებას ვუწყობთ ხელს.
- ჩვენ Meitheal-ს ვუწყობთ ხელს. Meitheal არის თქვენთან და თქვენს ოჯახთან მუშაობის საშუალება, რომელიც თქვენი ძლიერი მხარეების წახალისებასა და თქვენი საჭიროებების დადგენაში დაგეხმარებათ.

თქვენი ოჯახის მხარდაჭერის პრაქტიკოსისგან რას შეიძლება ელოდოთ

ჩვენ:

თქვენს ტემპში ვიმუშავებთ.

გარკვევით გეტყვით, თუ ვინ ვართ და რას ვსაქმიანობთ.

თქვენთან გულწრფელი ვიქნებით.

პატივს ვცემთ თქვენს კონფიდენციალურობას, „ბავშვები პირველ რიგში“ სახელმძღვანელოს რეკომენაციებისა და მონაცემთა დაცვის ზოგადი წესების შესაბამისად.

როგორ შეგიძლიათ დახმარება...

თქვენ შეგიძლიათ დაგვეხმაროთ, რომ საჭირო დროს, სწორი მხარდაჭერა გაგიწიოთ.

- გვითხარით, როგორ ზრუნავთ თქვენს შვილსა და ოჯახზე.
- გვითხარით, რა მუშაობს კარგად და პრობლემების შემსუბუქებას რა უწყობს ხელს.
- გვითხარით, რისი გაუმჯობესება გსურთ და როგორ შეგვიძლია დაგეხმაროთ.
- გვითხარით, ბავშვებისა და ოჯახისთვის ამ მომენტში კიდევ ვინ არის მნიშვნელოვანი, ან სასარგებლო.

ხშირად დასმული კითხვები

ჩემთან სახლში მოხვალთ?
ჩვეულებრივ, ოჯახებთან მათ საკუთარ სახლებში, ან საზოგადოების საცხოვრებელ მისამართზე ვმუშაობთ.

რა მოხდება, თუ ოჯახის მხარდაჭერა არ მსურს?
ეს თქვენი გადასაწყვეტია. ოჯახის დახმარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველვყოფთ, თუ თქვენ ჩვენთან თანამშრომლობაზე თანახმა ხართ.

შემიძლია, დახმარებისთვის ოჯახის მხარდაჭერის სამსახურს დავუკავშირდე?
დიახ, შეგიძლიათ მხარდაჭერის სამსახურს დაუკავშირდეთ, რათა თქვენი საჭიროებები განიხილოთ და ნახოთ, შეგვიძლია თუ არა დახმარება.

სხვა მშობლები მომსახურებაზე რას ამბობენ?

„როდესაც ჩემი ბიჭები სახლში ოჯახურ აქტივობებში მონაწილეობდნენ, ამან გაგვაერთიანა და ბიჭების პრობლემების გამოვლენაში დაგვეხმარა.“

„(ოჯახის მხარდაჭერის პრაქტიკოსი) ჩემს პატარა ბიჭს ძალიან დაეხმარა... მან ყველაფერი გაიგო. შემიძლია ვთქვა, რასაც ვგრძნობ... თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობ.“

„სახლიდან გაყვანით და უამრავი გასართობი აქტივობის ჩვენებით ძალიან დამეხმარნენ.“

„ეს ბიუჯეტის შედგენაში, ქცევაში დამეხმარა და სირთულეების დაძლევის უნარები მომცა. უკეთ მართვაში და სირთულეების გამკლავებაში დამეხმარა.“

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ:

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:
ბავშვთა აღზრდის 24/7 ვებსაიტი:
www.parenting24seven.ie
CYPSC ვებსაიტი:
www.cypsc.ie

Rialtas na hÉireann
Government of Ireland

Arna chomhchistiú ag an Aontas Eorpach
Co-funded by the European Union

An Roinn Leanaí, Comhionannais, Míchumais, Lánpháirtíochta agus Óige
Department of Children, Equality, Disability, Integration and Youth

TUSLA
An Ghníomhaireacht um Leanaí agus an Teaghlach
Child and Family Agency

ეს მასალა CYPSC-ის მიერ, ESF+-ისთვის არის დაფინანსებული.

პროგრამა ESF+ Action ირლანდიის მთავრობისა და ევროკავშირის მიერ არის თანადაფინანსებული.

ევროპის სოციალური ფონდი პლუსი (ESF+) არის ევროკავშირის მთავარი ინსტრუმენტი ადამიანებში ინვესტირებისთვის, რომელიც დასაქმებისა და განათლების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე, ასევე, სოციალური ჩართულობის გაძლიერებაზე და სიღარიბის დაძლევაზეა ორიენტირებული.

ESF+ წევრი სახელმწიფოების მიერ, ევროკომისიასთან პარტნიორობით ხორციელდება, ირლანდიაში კი ESF+ის რეალიზაციაზე, დამატებითი და უმაღლესი განათლების, კვლევების, ინოვაციებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ESF+-ის მმართველი ორგანიზაციაა პასუხისმგებელი.

CYPSC
CHILDREN & YOUNG PEOPLE'S SERVICES COMMITTEES

Plain English
Approved by NALA

www.tusla.ie

PPFS-ის ყველა უფროსი მენეჯერის სრული სიის მისაღებად, გთხოვთ, ეს QR კოდი დაასკანეროთ.